

საქართველოს დაცული ტერიტორიების ლანდშაფტების პერცეფციულ-  
ესთეტიკური ღირებულების კვლევა  
(ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ლაგოდეხის დაცული  
ტერიტორიების მაგალითზე)

ნინო გიგაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე  
ბუნებათსარგებლობა (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*



სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ზაზანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გიგაური

12.06.2015

## სარჩევი

აბსტრაქტი -----	3
1. შესავალი და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა -----	4
2. კვლევის მიზნები და ამოცანები -----	7
3. კვლევის აქტუალობა, სიახლე, პრაქტიკული ღირებულება და ობიექტები -----	8
3.1. კვლევის ობიექტები -----	9
4. მეთოდოლოგია -----	16
5. კვლევის შედეგები -----	17
6. დასკვნები და რეკომენდაციები -----	34
გამოყენებული ლიტერატურა -----	37
მადლობა -----	41

## აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს დაცული ტერიტორიების პერცეფციულ-ესთეტიკურ რესურსებს. ცნობილია, რომ დაცული ტერიტორიები დღესდღეობით უმთავრეს როლს ასრულებენ საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაში. გარდა ამისა დაცული ტერიტორიები გამოირჩევა თავისი უნიკალური ვიზუალური და ესთეტიკური მახასიათებლებით.

სამაგისტრო ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს, ორი დაცული ტერიტორიის მაგალითზე, იმის გარკვევა, თუ როგორ აღიქმება ვიზიტორების მიერ ლანდშაფტის მრავალფეროვნება და რა როლი შეიძლება შეასრულოს პერცეფციულმა რესურსებმა დაცული ტერიტორიების დაგეგმარებასა და მენეჯმენტის შემდგომი გაუმჯობესების სქემაში. ამისთვის მიმოვიხილეთ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა და სამეცნიერო პუბლიკაციები, თანამედროვე საერთაშორისო მეთოდოლოგიით (სპეციალურად შედგენილი კითხვარის საშუალებით) მოხდა ვიზიტორების გამოკითხვა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკსა და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე. ჯამში განხორციელდა 100 ვიზიტორის გამოკითხვა, რის შემდეგაც შედეგები გაანალიზდა და შემუშავდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევის შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, ისინი გადაეცემა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ დაცული ტერიტორიების სააგენტოს.